

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის დასახელება - პოლიტიკის მეცნიერებები
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა – 8 სემესტრი, სემესტრში – 30 კრედიტი.
4. სწავლების ენა – ქართული
5. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები
  - გურამ აბესაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
  - ელგუჯა ქავთარაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

## 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

## 7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური ტრანზიციიდან გამომდინარე მიზანმიმართულად მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეეძლებათ აფხაზეთის რეგიონალურ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების რაციონალური გააზრება და მოვლენათა სიტუაციური მართვა; გათვალისწინებულია აფხაზეთის რეგიონალური განვითარების თავისებურებების, პოლიტიკური კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების რეგულირების, სეპარატიზმის მიზეზებისა და მისი დაძლევის, ერთიანი ქართული სახელმწიფოს პირობებში რეგიონალური მართვისა და პოლიტიკური მოწყობის თანამედროვე ფორმების გამოყენების შესწავლა; არსებითი ყურადღება ექცევა აფხაზეთის რეგიონის ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცესთან ინტეგრაციისა და პოლიტიკური მოდერნიზაციის თავისებურებების გააზრებას.

საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის, პოლიტიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებების, პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების, პოლიტიკურ კულტურის, პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებებისა და ქართული სახელმწიფოს მოდერნიზაციის პარადიგმების შესახებ; სწავლების ძირითადი მიმართულებაა: პოლიტიკურ სიტუაციებში მოქმედების ფორმების შერჩევისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება: სასწავლო პროგრამის სალექციო კურსები აგებულია ტრანზიტული პოლიტიკური პროცესების სიტუაციური და შედარებითი ანალიზის საფუძველებზე და მიზნად ისახავს საქართველოსა და დასავლეთის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ღირებულებების თანაფარდობის დაცვას და პოლიტიკური პროცესების სრულყოფას. სწავლების პრიორიტეტია მიღებული ცოდნის ქართულ ეროვნულ სინამდვილეში გამოყენება. პოლიტიკური პროცესის კონკრეტულ-სიტუაციური ანალიზი და პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირების უნარის გამომუშავება.

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესების მოთხოვნაზე და ითვალისწინებს დემოკრატიული მოდერნიზაციის თავისებურებებს. პროგრამის მიზნის მიღწევადობას განსაზღვრავს თანამედროვე

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანზიციის თავისებურებები, რადგანაც პოლიტიკური მართვის პროცესი და ინსტიტუციური წესრიგის ფორმირება კომპლექსური კადრების მომზადებაზეა დამოკიდებული.

## 8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - პოლიტიკის მეცნიერებათა ბაკალავრს მიღებული აქვს ფართო ცოდნა პოლიტიკის ინსტიტუციური და სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებების შესახებ; შეუძლია პოლიტიკური პროცესების თეორიული და ემპირიული გააზრება, პოლიტიკური მეცნიერების ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პრიორიტეტული ამოცანების განსაზღვრა და დახასიათება; მიღებული აქვს ცოდნა პოლიტიკური მეცნიერების ცალკეული დარგების შესახებ და გააჩნია უნარი სინთეზირებულად გაიაზროს პროცესები და მიიღოს პოლიტიკურ სიტუაციაში რაციონალური გადაწყვეტილებები; გააზრებული აქვს პოლიტიკური ტრანზიციის პარადიგმები და აქვს უნარი გააკეთოს პოლიტიკური ანალიზი და პოლიტიკური მოვლენების პროგნოზირება; იცნობს პოლიტიკური მეცნიერების ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ პორცესებს; გააზრებული აქვს პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებები საქართველოში, მისი ძირითადი პრიორიტეტები და ღირებულებითი ორიენტაციები; იცის პოლიტიკური მეცნიერების ისტორია და ძირითადი კონცეფციები; იცნობს პოლიტიკური მეცნიერების ძირითად კვლევით მეთოდებს, შეუძლია პოლიტიკური პროცესის სიტუაციური ანალიზის გაკეთება, მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და თეორიული მოდელირება.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია პოლიტიკური სივრცის პრიორიტეტული ღირებულებების გამოყოფა, მათი თეორიული და ემპირიული კვლევითი კომპონენტების დამოუკიდებელი დაგეგმვა და განხორციელება; აქვს უნარი რაციონალურად შეაფასოს პოლიტიკური მოვლენები და გააკეთოს სარეკომენდაციო დასკვნები; შეუძლია პოლიტიკური პროცესის სიტუაციური ანალიზისას შეარჩიოს კვლევითი მეთოდი და შეიმუშაოს პრაქტიკული მნიშვნელობის პარადიგმები და მოდელები; აქვს უნარი თავისუფლად მოახდინოს თავისი თავის პოლიტიკური თვითდამკვიდრება და პოლიტიკური კულტურის ამაღლება; შეუძლია თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური და ღირებულებითი ელემენტების სიტუაციური ანალიზი; გააზრებული აქვს დემოკრატიული პოლიტიკური ტრანზიციისა და პოლიტიკური პრაგმატიზმის დამკვიდრების თავისებურებები.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია პოლიტიკური პროცესის თეორიული და სიტუაციური ანალიზისას შესაბამისი დასკვნების, პოლიტიკურ სივრცეში მანევრირების, მოდელებისა და სცენარების შემუშავება; აქვს უნარი მოახდინოს პოლიტიკურ მოვლენათა ტიპოლოგიზაცია, განსაზღვროს პრიორიტეტები და აქტორთა ტიპები, შეაფასოს პოლიტიკური სიტუაცია და ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები;

გააჩნია უნარი პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში ჩამოაყალიბოს და დაიცვას საკუთარი თვალსაზრისი და პარადიგმები, შემოქმედებითად და დამოუკიდებლად შეძლოს აზრის ფორმირება და გამოყენება.

- **კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია დამოუკიდებელი და ლოგიკური აზროვნება, პოლიტიკური ლიტერატურის კრიტიკული გადამუშავება, სიტუაციური ანალიზის გაკეთება, პრიორიტეტების გააზრება, მოვლენათა სინთეზირება, ინფორმაციის შესწავლა და ღირებულებითი გააზრება; შეუძლია პოლიტიკური იდეებისა და პარადიგმების, კრიტიკულ სიტუაციებში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშისა და ინფორმაციის მომზადება, მათი პოლიტიკური სტრუქტურებისა და დარგის სპეციალისტებისადმი წარდგენა; აქვს უნარი ზეპირად გააკეთოს ინფორმაცია ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე და შემოქმედებითად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები; გამომუშავებული აქვს პოლიტიკური კონსულტაციებისა და დიალოგის წარმართვის კულტურა. შეუძლია პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა და კრიტიკული აზრის არგუმენტირებული დაცვა.
- **სწავლის უნარი** - შეუძლია სასწავლო პროცესის პრიორიტეტული მიმართულებების გააზრება, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება; აქვს უნარი დამოუკიდებლად შეარჩიოს პოლიტიკური პროცესის აქტუალური მიმართულება, თემატიკა და შექმნას პირობები თავისი შემოქმედებითი ძალების რაციონალურად გამოყენებისათვის; შეუძლია დამოუკიდებლად შეაფასოს თავისი ინტელექტუალური პოტენციალი, განსაზღვროს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები და პირობები.
- **ღირებულებები** - მონაწილეობს პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური ღირებულებებისა და მისი პრიორიტეტის განსაზღვრასა და ფორმირებაში; შეუძლია სწორად შეაფასოს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე ღირებულებათა გადაფასების პროცესი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში; აქვს უნარი გარკვეული დახმარება გაუწიოს პოლიტიკურ სტრუქტურებს ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და რაციონალურად შეაფასოს ქართული ეროვნული პოლიტიკური კულტურის თავისებურებები.

## 9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათემის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 69 კრედიტი</b>														
<b>უცხო ენა - 18 კრედიტი</b>						6	6	6						
ა)	<b>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</b> <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	<b>ინგლისური ენა I (Elementary A1)</b>	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	<b>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</b>	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	<b>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</b>	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	<b>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</b> <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	<b>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</b>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	<b>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</b>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<b>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</b>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	<b>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (პოლიტიკის მეცნიერებები)</b>	ENGL B 018 GERM B 018 FREN B 018 RUSS B 018	3	35	40				3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013

5.	ფსიქოლოგიის შესავალი	PSYC B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
6.	სოციოლოგიის შესავალი	SOCI B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
7.	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	POLS B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
8.	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	INRL B 101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
9.	აკადემიური წერა	ACAD B 101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
10.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	PSYC B 102	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
11.	ზოგადი სოციოლოგია	SOCI B 102	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
12.	პოლიტიკის თეორია	POLS B 106	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
13.	საოფისე პროგრამები	COMP B 125	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე
14.	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	SOCI B 103	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე

**ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 69 კრედიტი**

1.	პოლიტიკის კვლევის მეთოდები	POLS B102	6	65	85			6						POLS B101
2.	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	POLS B103	6	65	85			6						POLS B101
3.	თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები	POLS B104	3	35	75				3					POLS B101
4.	პოლიტიკური კულტურა	POLS B105	6	65	85						6			POLS B101 POLS B106
5.	შედარებითი პოლიტიკა	POLS B107	6	65	85			6						POLS B101 POLS B106
6.	პოლიტიკური კონფლიქტები	POLS B108	6	65	85				6					POLS B101 POLS B106
7.	პოლიტიკური იდეოლოგიები	POLS B109	6	65	85					6				POLS B101 POLS B106 POLS B107
8.	ქართული პოლიტიკური აზრი	POLS B110	6	65	85			6						POLS B101
9.	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	POLS B111	6	65	85				6					POLS B101 POLS B106 POLS B107
10.	საერთაშორისო პოლიტიკა	POLS B112	6	65	85								6	POLS B101 POLS B106 POLS B107
11.	დემოკრატია და მოქალაქეობა	POLS B113	6	65	85			6						POLS B101 POLS B106
12.	<b>საზაკალაგრო ნაშრომი</b>	POLS B135	6	35	115								6	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები



## 10. დამატებითი (Minor) პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერებები

- **პროგრამის დასახელება** - დამატებითი პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებები
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - პროგრამის მოცულობა შეადგენს მთლიანობაში 60 (ECTS) კრედიტს, ხანგრძლივობა 5 (IV-VIII) სემესტრი, სემესტრში 12 კრედიტი.
- **სწავლების ენა** - ქართული
- **დამატებითი (minor) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**  
პროგრამაზე დაიშვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით პროგრამას.
- **პროგრამის მიზანი**  
დამატებითი სპეციალობა მიზნად ისახავს ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს მისცეს ცოდნა პოლიტიკის სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებების, პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური ტრანზიციის თავისებურებებისა და თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის აქტორთა ტიპების შესახებ. გათვალისწინებული იქნება ძირითადი სასწავლო პროფილი, რომელიც შეხამებული იქნება პოლიტიკურ სიტუაციებში მისი გამოყენების ასპექტებთან.



- **სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება** - მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია პოლიტიკურ პროცესებთან სინთეზირებულად გაიაზროს თავისი ძირითადი სპეციალობა და პრაგმატულად გამოიყენოს იგი მოდერნიზაციის პირობებში; შეუძლია რაციონალურად გაიაზროს პოლიტიკური მოდერნიზაციის ძირითადი პარადიგმები და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი ცალკეული პრობლემების რეალიზაციაში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია ძირითად სპეციალობასთან ერთად გაიაზროს პრიორიტეტული მიმართულებები და მოახდინოს მისი რეალიზაცია პოლიტიკური სიტუაციის მოთხოვნილებების საფუძველზე; აქვს უნარი, მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

**დასკვნის უნარი** - შეუძლია პოლიტიკური პროცესების მოთხოვნების საფუძველზე გააკეთოს გარკვეული დასკვნები და ჩამოაყალიბოს თავისი რეკომენდაციები და თვალსაზრისი; აქვს უნარი, პოლიტიკურ სიტუაციებში მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები.

**კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია პოლიტიკური მოვლენების შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და ინფორმაციის გადამუშავება; აქვს უნარი, დაამყაროს ურთიერთობა პოლიტიკურ სტრუქტურებთან და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დისკუსიებში.

**სწავლის უნარი** - შეუძლია ძირითად სპეციალობასთან სინთეზირებულად შეარჩიოს სწავლის პრიორიტეტები და განსაზღვროს საზოგადოებრივად ღირებული საქმიანოს ფორმები.

**ღირებულებები** - შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური პრიორიტეტული ღირებულებების დამკვიდრებაში; აქვს უნარი, გაიაზროს დემოკრატიული ღირებულებების მნიშვნელობა ქართული პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციის პროცესში.

• დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი</b>														
1.	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი	POLS B101	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია	POLS B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
3.	პოლიტიკური იდეოლოგიები	POLS B109	6	65	85					6				POLS B101
4.	შედარებითი პოლიტიკა	POLS B107	6	65	85					6				POLS B101
5.	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	POLS B111	6	65	85						6			POLS B101
6.	პოლიტიკური კონფლიქტები	POLS B108	6	65	85							6		POLS B101
7.	პოლიტიკური კულტურა	POLS B105	6	65	85								6	POLS B101
<b>არჩევითი კურსები - 18 კრედიტი</b>														
1.	- გეოპოლიტიკა - არჩევნები და საზოგადოება	POLS B125 POLS B126	6	65	85						6			POLS B101
2.	- პოლიტიკური ინსტიტუტები და პროცესები - საქართველოს ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი	POLS B114  POLS B124	6	65	85							6		POLS B101
3.	- ელიტების თეორია - ევროინტეგრაცია - საჯარო პოლიტიკა	POLS B123 POLS B131 POLS B130	6	65	85								6	POLS B101
<b>ს უ ლ - 60 კრედიტი</b>									12	12	12	12	12	